URBANI
DEVELOPMENT
Ivane Javakhishvili 45 ,Batumi Ajara ,Georgia. Zip:6010 VAT:445570392 Direct: +995422224864 M: +995599994141 E:info@urbani.ge www.urbani.ge

დეველოპერურლი კომაპნა "Urbani LLC"

რომლის პროფილია სამშენებლო დეველოპერული პროექტების განხორციელება საქართველოს მაშტაბში აცხადებს ტენდერს ვებ გვერდის განვითარებაზე, **ვებ გვერდის დიზანინის და კონსტრუქციის აწყობაზე.**

23.12.2019

Project 33/11-00345

Ref:0003400034

გასანვითარებელი გვერდი

ტენდერის აღწერილობა: ვებ გვერდის მისამართი: **www.urbani.ge**

- ვებ გვერდი უნდა იყოს უნიკალური და არა კოპირბული სხვა წყაროებიდან , უნდა იყოს ინტუიტიურად გასაგები , გვერდიდან გვერძე გადასვლა უნდა ხდებოდეს ადვილად.

- <u>გვერდს უნდა გააჩნდეს ფოტო და ვიდეო მათ შორის 3D მასალის დამატების რესურსი. აგრეთვე გვერდს უნდა გააჩნდეს ვიდეო **Live camera -** ის ოფცია</u>

- შპს Urbani LLC აცხადებს ტენდერს: საიტის დიზაინის შექმნაზე
- <u>თანდართულ ფაილებში შეგიძლიათ იხილოთ:</u>
- სამუშაოების ღირებულების ცხრილი

- **<u>ტენდერის მოთხოვნები:</u>**

- საიტის დიზანი უნდა შეიქმნას UX შპს. „Urbani LLC" ბრენდ ბუკისპრინციპების გათვალისწინებით
- შექმნილი საიტი უნდა იყოს თავსებადი დესკტოპ კომპიუტერებთან, სმარტფონებთან, პლანშეტებთან და ა.შ (ე.წ Responsive)
- გათვალსიწინებული უნდა იყოს SEO ოპტიმიზაციის მოთხოვნები
- მოწოდებული უნდა იქნას საიტის კოდის (CSS, Javascript) დაუკომპრესირებელი/სამუშაო ვერსია
- გამარჯვებული კომპანია ვალდებულია შექმნას საიტის ყველა გვერდი/მოდული (საიტის გვერდების, მოდულების სავარაუდო რაოდენობა თანდართულია საიტის რუკის სახით)

- <u>**საიტის ენა - ქართული / ინგლისური/რუსული/არაბული**</u>
- საიტის შექმნიდან ერთი წლის განმავლობაში კომპანია ვალდებულია მოგვაწოდოს მხარდაჭერის სერვისი
- საიტი თავსებადი უნდა იყოს ყველაზე გავრცელებული ბრაუზერების ვერსიებთან (Internet Explorer, Google Chrome, Opera, Mozilla Firefox, Safari)

- <u>**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ:**</u>
- ფასები სატენდერო მოთხოვნის შესაბამისად (იხ. **ფასების ცხრილი**);
- ანგარიშსწორების პირობები (იხ. **ფასების ცხრილ**;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან / ფიზიკური პირის შემთვევაში პირადობის მოწმობის ასლი

- **ფასები უნდა შეიცავდეს ყველა შესაძლო გადასახადს (დღგ და ა.შ.);**
- **ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მომსახურების ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2 წლით.**

- <u>**გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი წინადადებები ქვემოდ აღნიშნულ მისამართზე**</u>
- info@urbani.ge
- <u>**დიმიტრი კოღუაშვილი.**</u>
-

  თქვენი კომპანიის დასახელება / ფიზიკური პირის შემთვევაში სახელი და გვარი ;
- საკონტაქტო ინფორმაცია (პასუხისმგებელი პირი, ტელეფონი და ელ.ფოსტა);
  ტენდერის დასახელება;
  წარწერა: ----------

- **ტენდერში მონაწილე კომპანია ვალდებულია, წარმოადგინოს 40 კალენდარულ დღეში.**

დიზაინი

1.

   ვებ–საიტის დიზაინის დამუშავება პერიოდულად უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან შემდეგი თანმიმდევრობით:

კონცეპტუალური დიზაინი: მთავარი გვერდისა და რამოდენიმე შიდა გვერდის არანაკლებ 3 (სამი) ესკიზი შემსყიდველს უნდა წარედგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 8 დღეში;

მთავარი გვერდისა და რამდენიმე შიდა გვერდის დიზაინი შეთანხმებული ესკიზის მიხედვით უნდა შემსყიდველს უნდა წარედგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 დღეში.

დიზაინის შექმნისას დაუშვებელია გამზადებული შაბლონური ვერსიების (Template) ან მათი ანალოგების გამოყენება. დიზაინი უნდა შესრულდეს უნიკალურად ამ პროეტისთვის.

ტექნიკური მოთხოვნები ვებგვერდის მიმართ:

ზოგადი საკითხები

ვებგვერდის ქართულენოვანი ვერსია შექმნილი უნდა იყოს შრიფტების უნივერსალურ კოდირებაში (UTF-8);

ვებგვერდი უნდა შეიქმნას PHP/MySQL პლატფორმაზე და იყენებდეს უახლეს

ტექნოლოგიებს (HTML5, CSS3, JavaScript და ა.შ.); ვებგვერდი სრულფასოვნად უნდა ფუნქციონირებდეს ყველა არსებულ ბროუზერებში, აკმაყოფილებდეს W3C სტანდარტებს (HTML5) და შესაბამის ვალიდატორზე (http://validator.w3.org) შემოწმებას გადიოდეს შეცდომის გარეშე;

საიტი უნდა იყოს მაქსიმალურად ოპტიმიზირებული, მარტივი ინტერფეისით, მოქნილი ნავიგაციით და ადვილად ჩატვირთვადი;

საიტს უნდა გააჩნდეს საიტზე ძიების ლოკალური ფუნქცია;

პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნას მომავალში ფუნქციონალის გაზრდის

შესაძლებლობა, სხვადასხვა კომპონენტის დამატება.

ვებგვერდს უნდა ჰქონდეს მასზე განთავსებულ ნებისმიერ ტექსტურ გვერდზე ფოტოალბომების და ფაილის მიბმის შესაძლებლობა, პროგრამული კოდი

ვებ საიტის და მართვის პანელის კოდი უნდა იყოს ხელმისაწვდომი რედაქტირებისთვის. სურვილის შემთხვევაში, სხვა უფლებამოსილ პირს უნდა შეეძლოს ვებ საიტის პროგრამულ ან ინტერფეისის მხარეს ნებისმიერი ცვლილების შეტანა და ის არ უნდა იყოს შეზღუდული დაშიფრული კოდით.

საძიებო სისტემებში ოპტიმიზაცია (SEO) პროექტის ჩაბარების დროს ვებგვერდი ოპტიმიზირებული უნდა იყოს ძირითადი

საძიებო სისტემების (google, yahoo, Bing და ა.შ.) მოთხოვნების შესაბამისად.

ყველა გვერდს უნდა გააჩნდეს სწორად გენერირებული meta tag-ები (description,title, og:tags).

სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია

ვებგვერდის გვერდები უნდა იყოს ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან. სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის შიდა გვერდებზე უნდა იყოს შესაძლებლობა ინფორმაციის მოწოდების და გაზიარების საშუალება Facebook და Twitter პლატფორმებზე სწორად და გამართულად. იმ შემთხვევაში თუ გასაზიარებელია ინფორმაცია, რომელსაც აქვს მიმაგრებული ფოტოსურათი და მოკლე ტექსტი, ეს ინფორმაცია უნდა გამოჩნდეს შესაბამისად.

ყველა გვერდს უნდა გააჩნდეს სწორად გენერირებული og: tag-ები.

კოდის ოპტიმიზაცია
ვებ საიტის გვერდები უნდა იტვირთებოდეს სწრაფად. ამ მოთხოვნის მიღწევისთვის შემსრულებელმა უნდა გამოიყენოს ინდუსტრიაში მიღებული ნორმები ინფორმაციის ოპტიმიზაციისთვის. მაგალითად:

CSS და JavaScript ფაილების მინიფიკაცია; სხვადასხვა CSS და JavaScript ფაილების გაერთიანება;

სურათების კროპირებისა და ქეშირების ფუნქციები;

ინტერფეისის აწყობის დროს Sprite ტექნიკის გამოყენება მედია ფაილებთან მიმართებაში.

Cross Browser Compatibility

ვებგვერდი ხარვეზების გარეშე უნდა მუშაობდეს ყველა პლატფორმაზე (Windows,

Linux, Mac, Android, IOS) და ყველა პოპულარულ ვებ ბრაუზერში (Microsoft Edge, Mozilla, Chrome, Opera, Safari).

Friendly URLs
• ვებ საიტის URL მისამართები უნდა იყოს გადაწყვეტილი ე.წ. Search Engine Friendly

URL-ის პრინციპით რომელიც გულისხმობს გვერდების მისამართების შემდეგ სტრუქტურას:
www.domain.ge/en/about-us/our-team

Google Analytics

შემსრულებელი ვალდებულია Google Analytics-ის კორექტულ ინსტალაციაზე ვებ საიტის კოდში. ძირითადი საინსტალაციო და სხვადასხვა მოქმედებების კოდები მოწოდებული იქნება სამუშაო პროცესში.

პროგრამული პლატფორმა
ვებგვერდი და მართვის პანელი უნდა იყოს აწყობილი php / mySQL ბაზაზე.

დაშვებულია php-ს და ინტერფეისის framework-ების გამოყენება. შემსრულებელი პასუხისმგებელია შერჩეული framework-ების გამართულად მუშაობაზე.

ჰოსტინგი
ვებ საიტის განთავსების სასერვერო სივრცე გამოყოფილი იქნება და წვდომის

მონაცემები მოწოდებული იქნება შემსრულებლისთვის სამუშაო პრცესში. შემსრულებელი ვალდებულია გამოიყენოს გამოყოფილი სივრცე, სადაც ატვირთავს ვებგვერდის დასრულებულ ვერსიას პროექტის გრაფიკის ეტაპების მიხედვით. შემსრულებელს შეუძლია (სასურველია) გამოიყენოს გამოყოფილი სივრცე სამუშაო პროცესშიც, სადაც ვებ საიტის სატესტო ვერსია ხელმისაწვდომი იქნება დამალულ რეიჟიმში და სამუშაო გუნდის წევრებს ექნებათ საშუალება ნახონ განვითარების პროგრესი.

ადმინისტრირების მხარე (CMS)

ვებგვერდის სრული მართვა უნდა ხორციელდებოდეს მართვის პანელის (CMS-ის)

საშუალებით;

ვებგვერდის მართვის პანელი (CMS) შექმნილი უნდა იყოს ორიგინალური

პროგრამული კოდით და დამზადებისას არ უნდა გამოიყენებოდეს სტანდარტული

სისტემები (Joomla, Tango, Wordpress და ა.შ.);

CMS-ს უნდა გააჩნდეს მომხმარებლების რეგისტრაცია და უფლებების

დელეგირება. შესაძლებელი უნდა იყოს CMS მომხმარებლებისთვის ნებისმიერი უფლების გამოყოფა, ან გამორთვა, მაგალითად ამა თუ იმ კატეგორიაზე, წვდომა, სიახლეების დამატების, რედაქტირების, წაშლის უფლება, მოდერირება და სხვა.

ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს CMS მომხმარებლის ჯგუფების იერარქიის მართვა. მომხმარებლებისთვის ახალი ჯგუფების შექმნა, და შექმნილ კატეგორიებში მომხმარებლების ჩამატების/ამოღების შესაძლებლობა.

მოქმედებების ლოგები - ლოგებში უნდა იყოს მომხმარებლების მიერ ჩატარებული მოქმედებების ჩამონათვალი, ადმინ პანელში შესვლა, განახლების წაშლის მოდიფიცირების ჩანაწერები.

საიტის ბირთვის ადმინისტრირება:
სტატიკური გვერდების შექმნა, რედაქტირება, წაშლა, გადაადგილება,

დამალვა სტატიკური და დინამიური გვერდების დამატების ფუნქციონალი

(მენიუებში ჩამატება);

სტატიების და სიახლეები სმართვა და კატეგორიზირება; ○ პუბლიკაციების მართვა და კატეგორიზირება;
ვებგვერდის მომხმარებელთა მართვადაუფლებების;
გვერდების იერარქიის ცვლილება;
საკონტაქტო მონაცემების მართვა;

მედია კონტენტის მართვა;
ღონისძებების მართვა;
ტექსტისა კრეფისველებში უნდაიყოს ჩაშენებული WYSIWYG რედაქტორი

(FCK Editor, TinyMCE ან სხვა ამდაგვარი, მაგალითად სტატიებში

სიახლეებში, სტატიური გვერდების შექმნისას).
სიახლეების, სტატიების, სტატიკური გვერდებში ინფორმაციის

განთავსებისას უნდა იყოს რეალიზებული სხვა და სხვა ფაილების ატვირთვის (მაგალითად DOC, PDF და სხვა) და შემდგომ მათი ტექსტში ბმულის სახით ჩასმის შესაძლებლობა.

ვებგვერდზე გამოყენებული დამატებითი ბლოკების (საინფორმაციო ბანერების განთავსება, სლაიერი მართვა, დამატებითი პუნქტებზე გადასვლის შესაძლებლობა)

5. საავტორო უფლებები მესამე პირების საავტორო უფლებები საიტის შექმნისას გამოყენებული პროგრამული კოდი, დიზაინი და გრაფიკული გამოსახულებები უნდა იყოს შემსრულებლის საკუთრება, ან შემსრულებელს უნდა გააჩნდეს მათი კანონიერი გამოყენების უფლება.

შემსრულებელი პასუხს აგებს საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ ყველა პრეტენზიაზე, რომელიც შეიძლება წაუყენონ მესამე პირებმა შემსყიდველს.

საავტორო უფლებების გადაცემა შემსრულებელი ვალდებულია შემსყიდველს ვადის განსაზღვრის გარეშე (უვადოდ) გადასცეს ყველა საავტორო უფლება შექმნილ ვებ საიტზე.

საავტორო უფლებების გადაცემა გულისხმობს, მათ შორის და შეუზღუდავად:

შექმნილიპროგრამულიკოდისგადაცემასკომპილაციისგარეშე;

შექმნილი პროგრამული კოდის შეუზღუდავად მოდიფიკაციის, პროგრამირების ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანის, ადაპტირების, სისტემატიზების ან სხვაგვარი ცვლილების და მიღებული შედეგების

რეპროდუცირების უფლებებს საკუთარი საჭიროებისათვის;
პროგრამულიკოდისნებისმიერისაშუალებითადაფორმით,მთლიანადან

ნაწილობრივ რეპროდუცირების უფლებას საკუთარი საჭიროებისათვის;
დიზაინის და გრაფიკული გამოსახულებების ნებისმიერი სახით ცვლილების ან/და შემსყიდველის ნებისმიერი სხვა საჭიროებისათვის გამოყენების უფლებას.

შემსრულებლის საავტორო უფლები, რომლებიც უნდა გადაეცეს შემსყიდველს,

ცალკე არ ანაზღაურდება და მისი ღირებულება შედის ვებ–საიტის შექმნის ერთიან

ღირებულებაში. შემსრულებელს მისი მოთხოვნის შემთხვევაში მიეცემა უფლება, ვებ–საიტის

დიზაინისა და კონტენტის შექმნისათვის გამოიყენოს კომპანიის მიერ შექმნილი დიზაინი ან/და გრაფიკული გამოსახულებები.

6. საგარანტიო მომსახურება და ტექნიკური მხარდაჭერა

ვებ საიტის ჩაბარების შემდეგ, შემსრულებელი ვალდებულია ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე განახორციელოს ვებგვერდის უფასო ტექნიკური მხარდაჭერა და კონსულტაცია მისი

შემსყიდველისათვის გადაცემიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში, რაც გულისხმობს ვებსაიტზე აღმოჩენილი ნებისმიერი სახის ხარვეზის დროულ აღმოფხვრას და გარკვეულ საკითხებში სატელეფონო, ელექტრონული ფოსტის ან პირად კონსულტაციის გაწევას;

ასევე, მომწოდებელი ვალდებულია, დამკვეთის შესაბამის თანამშრომლებს ჩაუტაროს ტრეინინგი ვებგვერდის სამართავ პანელთან და ინფორმაციის რედაქტირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შემოთავაზების შემოტანის ბოლო ვადაა: **30 იანვარი 2020 წ.** (15:00- მდე)

ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმართოთ: 599994141 დიმიტრი კოღუაშვილი.

დირექტორი:

დიმიტრი კოღუაშვილი.